


ვახტანგ ჭავჭაძე

ავტორია ნიგნების

- „მხიარული რითმები“ (ორტაეპიანი კაფიები)
- „ბედისნერა“ (სენტიმენტალური რომანი)
- „ლეგენდები“ (ლექსებად)
- „იხარეთ“ (საბავშვო ლექსები)
- „ტელეპათიური თავგადასავლები“



მზუნის  
ნაური

## რედაქტორისბან


წიგნში წარმოდგენილია მხოლოდ ნაწილი იმ ლექსისა, რომლებიც ავტორს მიუძღვნია თავისი მშობლიური კუთხის – კახეთისათვის.

ავტორი, თითქმის ორმოცდაათი წელია ცხოვრობს და მოღვაწეობს ქ. გორში, თუმცა როგორც წარმოდგენილი ლექსებიდან ჩანს, მას გამუდმებით თან სდევს ფიქრები კახეთის და კერძოდ თელავის შესახებ.

ნოსტალგია, ხომ ყველა მოკვდავისთვის არის დამხასიათებელი და ამ მხრივ არც ამ წიგნის ავტორია გამონაკლისი.

აკაკი ბიძინაშვილი  
2005

კომ. უზრუნველყოფა: მირიან ხანიშვილი  
თავმატორი: გაია ლარიბაზვილი



## ზატ თაღლავები

არ მიცეკვია სხვის ხმაზე,  
არც არავის ვთხოვ ძველ ვალებს,  
ვამაყობ – ყოველ სისხამზე,  
ვუცქერ დაოვლილ მწვერვალებს.

წინაპრის კვალზე სწორებით,  
ბედს ვუმორჩილებ ღვთის ნებას,  
დადინჯებული ცხოვრებით,  
ვგავარ ალაზნის დინებას.

ნიავი ცივ-გომბორიდან,  
საამო ამბავს მჰირდება,  
სალამს მიკუძღვნი გორიდან,  
გულს მეტი როდი სჭირდება.

მიწა ექუთვნის სად უფრო,  
„ალავერდს“ – ღვთიურ რაკეტას,  
ვდლეგრძელობ ვიდრე საწუთო,  
სულის სარბიელს ჩაკეტავს.

„მამიყანთ“ აღმართში,  
მუხლები გადამიღლია,  
დარიან დღეს თუ ავდარში,  
„ნადიკვარზედაც“ მივლია.

„ზუზუმბოელი“ ბიჭების,  
კრივიც მომწონდა კაცური,  
ძმობაში როდი ვიჭრები,  
არც მტრობა ვიცი, არც შური.

ვაზია ჩემი სისხლძარღვი,  
ერეკლეს ფარი – გულია,  
დღედაღამ ამას ვიძახი:  
„თელავი სასწაულია“.

### ზოგი

მძიმე წარსულსაც აქვს სიდიადე,  
ელავს ერეკლეს ხმალი,  
ბრძოლით იცხოვრა და სიკვდილამდე,  
იმედი ჰქონდა ხვალის.

არად გიდევდა პირადულ ელფერს,  
სამშობლო ენთო კერპად,  
და მოწოდებით უდიდეს მეფეს,  
„პატარა კახი“ ერქვა.

ბედმა არგუნა ჟამი დაგული,  
გამყიდველობა ძმისაც,  
თავი წაჰევთა – ჩვენი მამული,  
საჯივგნად სურდა ვისაც.

მოტკრო ოთახში იშვა მეფურად,  
აქვე დალია სული,  
თავზე კაც-მეფის ქუდი ეხურა,  
პერანგი ჯაჭვით წნული.

დასაულავეს სვეტიცხოველში,  
ბეკრდზე დაადეს ფარი,  
მას შემდეგ რეგავს ჩვენში, ყოველში,  
მეფე ერეკლეს ზარი.

### ალაპინის ჭალაში

ღამე არის მოკიაუე – დღესავით,  
ალაზანთან ვდგავარ ეულ ხესავით.  
წყლის სარკეში მოვარე ცურავს გედივით,  
ცის კონტური მოჭიმულა ღვედივით.  
ბებერ მუხას გაუშლია „ხელები“,  
გაუწელავს აძლაბუდას ქსელები.  
სანთელივით ჩამოქნილა ტირიფი,  
ჩაძირული ანარეკლით – პირისპირ.  
თვეზი როკავს ცეკვა-ხტუნვით, ტყაპანით,  
ბაყაყები ერთობიან ყაყანით.  
ჩვეულებრივ გატვრენილან ბუები,  
ნებივრობები ხვადები და ძუები.  
ჩაქუფრული გამობობლდა ღრუბელი,  
ჩაქრა მოვარით სულჩადგმული ღუმელი.  
გულზე სევდა შემომაწვა მზაკვარი,  
და ვინანე, რომ არა ვარ მხატვარი.

### შავშეობის ხიდი

უკვდავად ქმნილა ისტორიისთვის,  
ვით საოცრება შვიდი,  
ხიდი ბრუკლინის, ვატერლოოსი,  
ლეიტენანტი შმიტის,  
მუხრანისა თუ ვორონცოვისა,  
წმინდა ლავრენტის ხიდი.  
ჩემი ბავშვობის საოცრებაა  
(მის წინაშე ქედს ვხრიდი)  
ტოტებშეთლილი (მკვრივი ხისაგან)  
მცირე სიმბიმის მზიდი,  
სოფელ შილდაში, წისქვილის წყალზე  
გადადებული ხიდი.

## თელავის ღილა

კდგავარ იქ, სადაც ფესვი ედგა ერეპლე მეფეს,  
ტურფა თელავი დაქაქესულა ვიწრო ჭუჩებად,  
გავცერი სივრცეს და ფიქრებში ვაწუხებ ღმერთებს,  
ღილის სიგრილე სასიამოდ მელაქუცება.

კავკასიონის ფერდობებზე სოფლები ძველი,  
ფერმერთალ ბინდ-ბუნდში ციალებენ ფუტკრის სკებივით,  
ზღაპრულ ფურცლებად გადიშალა ალაზნის ველი,  
და ამეტყველდა ფიროსმანის ნახატებივით.

თეთრი ჭუდები ანაპერწკლდნენ მთის მწვერვალების,  
და განთიადი მოეპარა დიდებულ კახეთს,  
ამოიზიდნენ საბნელიდან მთების მალები,  
თითქოს მომხდურებს ძველებურად უგებენ მახეს.

ცა აციაგდა (დიდი დროა შემდეგ ბინდამდე),  
ღილა იწყება უკეთესის ნატვრით და ლოცვით,  
თანდათანობით დაიფლითა ნისლის პირბადე,  
ვაზის ფესვებში ჩაიწურა ზღაზნვით და ცოცვით.

გრემის სასახლე აღმართულა მთაშე მთასავით,  
(რამდენჯერ ტეხეს ციხე-კოშკი, ტეხეს შიგნიდან),  
შორს ალავერდი მოზიდულა რაკეტასავით,  
„დედას ლევანას“ მოძახილი ისმის შილდიდან.

ნაფარეულის ვენახების არა სჩანს ზღვარი,  
ცოტა უფრო შორს იორთქლება თორლებას აბანო,  
იმის იქით კი მთათუშეთის ღიაა კარი,  
ეწვიეთ, დატქით, დაისვენეთ, — ღმერთმა გაამოთ.

ბაში-აჩუკის ქვაბულების ისმის გუგუნი,  
იყალთო შოთას უკვდავ სახელს კვლავაც მინატრის,  
შუამთის მხრიდან ნიავს მოაქვს რუდუნ-რუდუნით,  
ნაიარევი სურნელება ქალთა მონასტრის.

აგერ, ხელმარჯვნივ, წინანადალის კვიპაროსები,  
ჭავჭავაძეთა ბაღ-ედემში ხე სასწაული,  
ილიას მთებმაც ჩამოიხსნეს ბნელსამოსები,  
იქ, ყვარლელებმა ჩამოასხეს ქინძმარაული.

არწივი მძლავრად შეეხეთქა ცისა კამარას,  
შეკრა ირაო, თავს მოექცა მთებსა და ქედებს,  
ასე მგონია იაკობის გულგასახარად,  
ლეკეთში მძევლად გატაცებულ ქეთოს თუ ეძებს.

კავკასიონის ფერდობებზე სოფლები ძველი,  
მზემ განათა, აღარ ჩანან ფუტკრის სკებივით,  
ფერად ფურცლებად გადამლილა ალაზნის ველი,  
მიმოფანტული ფიროსმანის ნახატებივით.

## თრაგმანცი ზრული მეფის ცხოვრებიდან

არ შეშრობოდათ ჯერაც ოფლი გახვითქულ რაშებს,  
მალემსრბოლების ცნობამ შესძრა სასახლის კარი,  
დაუძრათ ჯარი უამრავი ხანებს და ფაშებს,  
და მთელ კახეთში აგუგუნდა განგაშის ზარი.

დასხდნენ თათბირად სარდლები და მეფე ჭარმაგი,  
არ ემჩნეოდათ შინაგანი გულის ტკივილი,  
უცხო არ იყო მტრის სიჭარბე ორჯერ სამმაგიც,  
და კიდევ ერთხელ დადგა უამი ხმალთა წივილის.

დრო არ იომენდა, ახლოს იყო მტერი ვერაგი,  
(არ არსებობდა შეუვალი ტაბუ მგლისათვის),  
ერეკლემ სხარტად გადაიცა ჯაჭვის პერანგი,  
და „ქუდზე კაცი“ აღიმართა მამულისათვის.

### ინწობა

გრემის ციხესთან ამაყად მორბის,  
ალაზნისაკენ უჭირავს გეზი,  
მორბის, მოანგრევს ნამსხვრევებს ლოდის,  
თითქოს ფერდებში შემოჰკრეს დეზი.

ახლაც ჩაესმის გარდასულ წელთა  
ხმალთა კვეთება, ბრძოლის ყიუინა,  
და თავის ბედირულ მამულთან ერთად,  
თავს სულაც არ გრძნობს სიკვდილმისჯილად.

ჯიქურ ულოკავს ციხეს კლდის კალთებს,  
ახსოვს ყოველი, მისხალი მისხლის,  
მადლობა ღმერთის, რომ ახლა მის ტალღებს,  
აღარ ერევა ნაკადი სისხლის.

### განთიაღი მთათუშეთში (ჩანახაფი)

მინდორი მოსჩანს თეთრი ნისლით, მიმოფანტულით,  
მზე სადაცაა სხივებს მოპუენს უწყვეტ ნაკადით,  
ცხვრების საფარად აჩონჩხლილა ვიწრო ფარდული,  
მწყემსს მხართებოსქვეშ საძინებლად უდევს ნაბადი.

სალამურის ხმამ შეარჩია ნისლის საბანი,  
სანუკვარ ჯიქნებს დაეტაქნენ თოოო ბატქნები,  
მთაში ხმაურიც და პანგებიც ისმის სხვაგვარი,  
აქ, თუ ალიონს არ შეხვდები – როგორ დატკბები?!  
მიწის მშვენება აქ შეჰყარა კაცმა ციურმა,  
უკვე ამოსცდა მნათი ბადრო ცის ზღვარს ელვარეს.  
ტანი აზიდეს ნაგაზებმა კავკასიურმა,  
და საქმის ცოდნით შემოურტყნენ ცხვრის ზღვის მღელვარეს.

### ყვარლის მთათუში

ბილიკი ჩამოვირბინე,  
მუხლმა ვერ იგრძნო დაღლა,  
მართვე მომყავს და დავტოვე,  
არწივის ბუდე მაღლა.

ღრუბლებს ზეინები დაუდგამთ,  
და არემარეს აწვიმს,  
ვაგლახ, უმართვედ დახვდება,  
ბუდე შორწასულ არწივს.

სოფლამდე ჯერაც შორია,  
ვშიშობ – დამესხმის თავზე,  
თავშესაფარსაც ვერ ნახავ,  
ამ საცალფეხო გზაზე.

მართლაც გამოჩნდა უეცრად,  
შევკრთი წივილის ხმაზე,  
ირაო შეჰყრა საწყალმა,  
ღრუბელდაფარულ ცაზე.

თავტენით ჩემსკენ დაეშვა,  
ჰგავდა ნასროლსა ტყვიას,  
მართვე გავუშვი, დავეცი,  
თავი დავარტყი ქვიანს.

თვალთ დამიბნელდა, მერე კი,  
რუხ ცას გავხედე შვებით,  
წყვილად ბუდისკენ ილტოვდნენ,  
ჰაერს აპობდნენ ფრთებით.

### აისი შილდაში

აენთო დილა, მზე მიაწყდა სარკმელის მინებს,  
ნოხი მოხატეს იატაკზე ათინათებმა,  
ორთქლი აგარდათ დამის ტენით დანამულ ზვინებს,  
გაუჩინარდა ვერცხლისფერი მოვარის ნათება.

ეზოს მოედნენ ქათმები და ჩიტ-ბეღურები,  
მოწნულ ღობესთან ხბო კუნტრუშობს, ითხოვს საუზმეს,  
ჩამოუყრია დამენათევ ნაგაზს ყურები,  
სახლის პატრონი თივას უყრის ხარებს საურმეს.

სადღაც შორიდან მენახირის ისმის ძახილი,  
სითბო იღვრება აყვავებულ ვარდის დუყებში,  
ბაღ-ვენაზს მისწვდა მოელვარე სხივთა მანვილი,  
დილა შასარგაშლით დააბიჯებს ვიწრო შუკებში.

### კახეთის შემოღომა

თავაწყვეტილად წვიმს,  
ღრუბლებს შეუკრავთ წრე,

ბაღრო აღარ ჩანს მზის  
სწრაფად ილევა დღე.

აღარ ესვრიან ქეებს,  
ხის ქვეშ შეყუულ ჩიტს,  
ბაბო თათარას თქვეფს,  
ბავშვი ილოკას თითს.

ქვევრში მაჭარი ღულს,  
მარნის სურნელი სდის,  
გარეთ კი ისევ ქეხს,  
გარეთ კი ისევ წვიმს.

### ალაზანი — ღირამდინარე

მე რომ შენი ვარ — მქონია ბედი,  
ღედამდინარე შენა ხარ ჩემთვის,  
არა იმიტომ — იორზე მეტი,  
ნაკადული ან მდინარე გერთვის.

შენ რომ ჩემი ხარ — მქონია ბედი  
ღედამდინარე ჩემთვის შენა ხარ,  
არა იმიტომ — ღურუჯზე მეტი  
შენში წილი აქვს ხევს და შენაკადს.

ღედამდინარედ შენ მყავხარ ბედად,  
ასაკით ბრძენი, ასაკით ძველი,  
არა იმიტომ, რომ ჩელთზე მეტად,  
ხარ წყალუხვი და ხარ უფრო გრძელი.

დედამდინარედ გცანი სიყრმეში,  
(ასე მოგნათლეთ უბნის ბალლებმა)  
რაღანაც ცურვა, ყვინთვა სიღრმეში,  
მასწავლეს შენმა დინჯმა ტალღებმა.

## 800 წლის??

(ქ. თელავის ერთ-ერთ ცენტრალურ  
უბანში დგას უზარმაზარი ჭადარი)

ბრე თელავის შუაგულში,  
დგას ფესვმძლავრი ჭადარი,  
არ მინახავს მისი მსგავსი,  
ტოლფასი თუ სადარი.

ბავშვობიდან მანცვიფრებდა,  
საოცარი ასაკი,  
მის ტოტებქვეშ სიტყვა უთქვამს,  
თვითონ სულმნათ აკაკის.

მახსოვს, ერთხელ დიდმა პაპამ,  
საგანგებოდ მახარა:  
„რვაასი წლის არის ეს წე,  
ვუიცავ ამ ჩემ ჭალარას“.

დღესაც – თუ გსურს თელაველი,  
სიამაყით აღიგსოს,  
შეეკითხე, – გიპასუხებს  
რვაასი წლის არისო.

გულით მინდა (სურვილი მაქვს),  
უკვლავებას გადარო,  
ველარ გახდი ცხრაასი წლის  
800 წლის ჭადარო!?

## საბას სატრატში

(საბა სეხნიაშეილის ხსოვნას)

ღრმა სარდაფში, გრილ სარდაფში,  
მიგვიწევდა ბიჭებს გული,  
(რიგინად წვერ-ულვაში  
არც კი გვერნდა ამოსული).

ჩვენ „ჩვენი“ დღე გვეგულვოდა,  
და ველოდით როგორც შარბათს,  
პაპა საბა გვლებულობდა,  
კვირის ბოლოს, მოლოდ შაბათს.

„მსუბუქ“ ჯიბეს არ ვჩიოდით,  
როდი გვქონდა მადა დიდი,  
მოწიწებით ჩავდიოდით,  
უფროსების ხათრით, რიდით.

მოყვრად გვთვლიდა მისულებად,  
ხელს გვართმევდა როგორც ტოლებს,  
და ღიმილით გვისურვებდა,  
ოქროს მედლებს, ლამაზ ცოლებს.

მერე იყო გზა გახსნილი,  
(რას მიქვია ღილის ხაში),  
კასრზე ეწყო: კიტრის მწნილი,  
წიწმატი და შოთ-ლავაში,

მონატეხი გუდის ყველის,  
სამარილე ტენიანი,  
თიხის დოქი ღვინით სველი,  
ხაჭაპური ფენიანი.

პაპა საბა „სუფრის“ თავში,  
დაჯდებოდა როგორც ღმერთი,  
რკინა უღერდა დაბალ ხმაში  
იწყებოდა „აღავერდი“.

გვასწავლიდა: სუფრის ადათს,  
ღვინის დასხმას, სიტყვის სმენას,  
საფუძვლიან თქმას და კამათს,  
რაინდობას, ჭირთა თმენას,

მომავალთა მოსაწონად,  
აშენებას და კეთებას,  
წასულების მოსაგონად,  
პურზე ღვინის დაწვეთებას,

მეზობლების, მეგობრების,  
დაფასებას, შეყვარებას,  
საცხოვრისი შარაგზების  
გარჩევას და შედარებას.

არც სიმღერა გვაკლდებოდა,  
თავს ვირთობდით ტაშ-ფანდურით,  
„შაბათობა“ მთავრდებოდა,  
მოგუდული ქართლ-კახურით.

დავვაჟყაცლით ჩვენ დროულად,  
(ასეთია უმთა სრბოლა)  
სკოლის კურსთან ერთდროულად,  
დავამთავრეთ საბას „სკოლაც“.

### ჩემო კახეთო

თვალწარმტაცი მთა-ველი  
გულში ჩასახატია,  
მიწის ყველა მტკაველი  
სალოცავი ხატია.

ჭავჭავაძის მამული  
ბალნარი ედემია,  
იყალთოს შენახული  
შოთას აკადემია.

მხიბლავს შეუსადარი,  
ველი ალაზანისა,  
ალავერდის ტაძარი  
საროდაყრილ ტანისა

დგანან ციხე-ბურჯები,  
გასახარად გულისა,  
მრავლისმნახი მუნჯები  
ნაწამებ მამულისა.

განთქმულია: ბარაქით,  
გრემის დღესასწაულით,  
გურვაანის „წარაფით“,  
ყვარლის „ქინძმარაულით“,

ქალღმერთ ნატო ვაჩნაძით,  
გოგლას ლექსთა მძივებით,  
შემოდგომის ბაქმაზით,  
ვაზის უხვი მწკრივებით,

ფართო მკერდით, მხნე გულით,  
(ყალყზე შემდგარ რაშივით),  
ძეგლად გაცოცხლებული,  
მამა მახარაშვილით,

წამალ-მალამოს დარი  
ტალახით ახტალისა,  
ტყეში მწიფე მოცხარით  
მწვანით მთის თუ ბარისა,

ლაგოდეხის ნაკლრძალით,  
ოქროსფერი კალოთი,  
ულეველი საგზალით,  
თორლგას მთის აბანოთი.

ბულბულობა გვწყურია  
ვანოს, „დედას ლევანის“,  
ხმაში რომ ჩასწურია,  
„რქაწიოთელის“ მტევანი.

რა ტურფა ხარ, რა კარგი,  
გარჯა — ბრძოლის ბელადი,  
ერექლეს ხმლით ნაქარგი  
შილდელის ხმით უღერადი

ბევრჯერ მოიწადინეს  
შენი დაბორკილება  
ცრემლი ბევრი გადინეს  
სცადეს დამორჩილება.

მაგრამ ქედი უდრევი  
ვერა, ვერ მოგიხარეს  
მტერი ბმო და მუდრევი  
ვერასდროს გაიხარებს.

გულში ჩასახატია  
თვალწარმტაცი მთა-ველი  
სალოცავი ხატია,  
მიწის ყველა მტკაველი.

### კურტღლათრის ღილა

მთის წვერზე გადმოანათა  
მზის ბაღრომ სახეკრიალამ,  
ორთქლის ქულები აღმართა  
ცვარ-ნამი ააბრჭყვიალა.

კრუხი წიწილებს მოშორდა,  
გარეკა ჭია-ღუაზე,  
იქვე ჭრელხალა ბოჩოლა,  
კუნტრუშებს თავის ჭკუაზე.

შეათამაშა მხარმკლავი,  
მამალმა ფერადფრთიანმა.

თონე აავსო ნასხლავით,  
დიაცმა წინსაფრიანმა.

დიასახლისის ნახვაზე,  
გოჭებმა მორთეს ჭყვიტინი,  
აბლაბუდების ნახაზებს  
ბუზები თვლიან ქვითინით.

გარეთ კამეჩის ბლავილმა,  
არად ჩათვალა აისი,  
წყალს გამოლმა და წყალს მიღმა  
მენახირეთა ხმა ისმის.

ჩიტებმა იწყეს გალობა,  
(შინაურმა თუ ტყიურმა)  
არტალის ძვალი გალოკა,  
ნაგაზმა კავკასიურმა.

ქალმა მოუხმო მეზობელს  
მოდი დატკბილ ყურებით,  
და მოეფინა მთელ სოფელს,  
სურნელი შოთიპურების.

### ღუჯომრის ღამი თელავში

ქრონოლოგიური იდგა ღეკემბერი,  
ზამთარი ხლართავდა სამთვიან კონტურებს,  
გაუკრთათ ღამეში მწვანე ღეკებს ფერი,  
და მთვარე მოსავდა სასახლის ქონგურებს.

ღამის ცა მეჩვენა ძირს ჩამოშებული,  
(ცა – შეყვარებული ვარსკვლავთა კრებულზე),  
ეს ალბათ იმიტომ – თელავი ქებული  
და მეფის სასახლეც დგას შემაღლებულზე.

ოცნების მოწოლას გონება ვერ უძლებს:  
„ხელით შევხებოდი მნათობებს კაშკაშას,  
წელზე შემომერტყა „სატურნი“ ფერადი,  
ან გულში ჩამეკრა „ვეშაპი“ ფაშვაშა“.

და მაინც ოცნებად კვლავ დამრჩა აფრენა,  
ვერ დამდო პატივი ღამებაც თელავის,  
(მე აუხდენელის ვინატრე ახდენა),  
ბრალსაც კი ვერა ვდებ ვერც თავს, ვერც ვერავის.

ოცნება ახდება, როცა ეს ღმერთს უნდა,  
(სახე რად ემანჭვით მეფეთ და ფარეშებს)?  
თუკი რაც ვინატრეთ – ყოველი შესრულდა,  
რაღაა სიცოცხლე ოცნების გარეშე?!

### მონაცრება

მომენატრა „ნადიკვარის“,  
მოჩურჩულე ნიავი,  
„ახალბალში“ მწვანე მოლზე  
თავუკულმა ბზრიალი,  
გრემის ციხის ქონგურების  
დილის მზეზე ციალი,  
და ალაზნის ნაპირებზე,  
მწვადის ცეცხლზე ტრიალი.

დათა ძიას სამჭედლოში,  
დიღი უროს გრიალი,  
პაპისეულ ეზო-კარში  
წისქვილის წყლის ჩხრიალი,  
კახელ გოგოს გამჭოლ თვალთა  
მომნუსხელი ბრიალი,  
და ერეკლეს სასახლეში  
ქართულ დროშის ფრიალი.

### გამთარი სამუშაო

რა სჯობია თოვლიან და ცივ ზამთარში,  
თბილ ბუხართან „სამჭერაზე“ შემოჯდომას,  
სამუშაო აღარ არის გაშლილ ზვარში,  
სულ ახლახანს დაიწურა შემოდგომა.

ლობიოთი უჭრელდება ქოთანს ფერდი,  
(სხვა უკეთესს რას გამოძერწს კაცის ხელი?),  
კიტრის მწნილი, ყველი გუდის გქონდეს გვერდით  
და შეირგე მშობლიური „რქაწითელი“.

### კახეთში მიმყავს სცენარი

იყალთოს გავცდი, მიპქრის ავტო შმაგი ჭენებით,  
ალაზანს, „თორლევას“, კავკასიონს გასწვდა ოცნება,  
გავანავარდე, ვამზეურე ლაღი გზები,  
სტუმარი მიმყავს, ტურფა კუთხით გასაოცებლად.

თეთრადელვარე, ცადატყორცნილ ალავერდს ვხედავ,  
(რჩეულიშვილის მიღვას თვალწინ „ალავერდობა“),

მინდორში ვიღაც უბელო ცხენს აზარტით ხედნავს,  
ლაგამს უმოკლებს, მის სიგიჟეს აღარ ენდობა.

მთელი დღე ვყვები მისთვის უცხოს, საამოს ჩემთვის,  
როგორ ვიბროდით, რა შევქმნით, რა დაიწერა,  
სამრეკლოს ზართა მძლავრი ექი საღამოს ერთვის,  
სტუმარს შევხედე, – მან პირჯვარი გადაიწერა.

### სცენარი თელავში

საპურმარილოდ მთელი გუნდით ვეწვიეთ თელავს,  
კახელ მასპინძლებს წარბი წუთით არ შეუხრიათ,  
აქაც ჭირს, მაგრამ არვინ ვიშობს, არვინ ლელავს,  
ცხოვრების წესი, რახანია, არჩეული აქვთ.

შემოგოგმანდა კერის დედა თვალებბრიალა,  
არვის დაუთმო მადლცხებული სუფრის გაშლა მან,  
იყო სიმღერა, ჯამი, ყანწი, ხოლო გვიანდა,  
შემოგვაშველეს ოხშივარით ნაღდი ხაშლამა.

დილით კი „ჭაჭით“ ჩაგვიწმინდეს ყელი გამშრალი,  
საბარგულები ამოგვივსეს კალათ-ვედრებით,  
ღმერთო, გვიმრავლე ქვეყანაში კაცი მაშვრალი,  
ღმერთო, გვიცოცხლე კახელები, შენ გავედრები.

### თელავილ თანაცოლებს

(მათ, ვისი ბაგშვობა დაემთხვა მეორე  
მსოფლიო ომისა და შემდგომი პერიოდის  
მძიმე წლებს).

ცივ-გომბორის მთის კალთებზე  
გაატარეთ ბაგშვობა,

არ იცოდით თუ რა იყო,  
საუზმე და ვახშმობა.

ნუთიანებს ღებულობდით,  
ფარდაღალა სკოლაში,  
პირველობას არა სთმობდით,  
ფეხბურთსა თუ სროლაში.

გაჭირვებულს მხარში მუდამ,  
უდგებოდით სურვილით,  
სიცივეში ყინვა გქლავდათ,  
სიცხეში კი წყურვილი.

ჭირთათმენა გამშვენებდათ,  
იჩემებდით ვაცობას,  
ვინცა ხართ და ვინც აღარ ხართ,  
აფერუშ თქვენს კაცობას.

### წითელლობურა კახულო გოგოზ!

კვლავ მებუტები ბავშვივით,  
მექეც უძლეველ გოდოლად,  
თურაშაული ვაშლივით,  
წითელლოყება გოგონავ!

სანამ ლომგულობს ეს გული,  
და სხვას არ ვეძებ თვალებით,  
გიყვარდე შენი ერთგული,  
ნუ მომკვლავ ჩუმი წვალებით.

### ალაზნის პირს

ალაზნის პირს ჩავუყევი,  
ხეს ვეძებდი ჩრდილიანს.  
თევზის ჭერა ბევრს იტაცებს,  
უჩინოს თუ ჩინიანს.

ძმაკაცების ჯგუფს წავაწყდი,  
სუფრას შლიდნენ მდელოზე,  
კარგი ვსვით და კარგი ვჭამეთ,  
ყველამ ჩვენ, ჩვენს გემოზე.

მზის ჩასვლისას დიდი ყანწით,  
გადმოვიდნენ ალავერდს,  
გახურებულ შამფურებზე,  
თხის ბარკლები ააგეს.

მერე მთვარეს „შემახვედრეს“,  
მოციაგეს, ტაშტის დარს,  
თევზის სადღეგრძელო მასვეს,  
მუხლებამდე წყალში მდგარს.

### მენაცრება ჩიმი ძნელი მაზშვობა

ლახტის „ცხელ“ წრეში პირველობას  
ვუთმობდი არვის,  
შიშველ წვივებზე ქამრის წვერის  
ვთვლიდი ნასუსხარს,  
არ მაწუხებდა სამკაული  
ვერცხლის თუ ქარვის,

ხშირად მაჭმევდნენ მჭადის ნატეხს  
ნათხოვ-ნასესხარს.

უბნების ჩხუბში უდენიათ  
სისხლი ცხვირიდან,  
მახსოვს გატეხილ კოკისოვისაც  
მცემეს გულდაგულ,  
გაღმოვგარდნილვარ თოხარიკი,  
ლურჯა ვირიდან,  
და მაინც ვერვინ ვერ მნახავდა  
მწყრალს და გულ დაგულს.

ცრემლი მდიოდა თუ მჩაგრავდნენ  
დიდები ჩემზე,  
როცა სუფრასთან არ მიშვებდნენ  
მტკიოდა გული,  
ვჩილიკაობდი, ვბურთაობდი  
თაკარა მზეზე,  
ხელში მეჭირა განუყრელად  
თოხი და ცული.

ახლა ფულიც მაქვს საკმარისი  
საჭმელ-სასმელიც,  
აღარც ვტირი და არ მჭირდება  
ცრემლის გაშრობა,  
ვდგავარ მწვერვალზე, ძირს გავყურებ  
როგორც მთამსვლელი,  
ტქბილ სიზმარივით მენატრება  
ჩემი ბავშვობა.

